დადგენილება:**დ-81.81221524**
თარიღი:**01/06/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების შესახებ''ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2021წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.116.016508) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.'';

2. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2

დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი.'';

3. დადგენილების მე-5 მუხლი და მე-5 მუხლით დამტკიცებული დანართი №5 ამოღებულ იქნეს;

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: (დანართი №1 თან ერთვის)

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი''

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირები

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საჯარო მოსამსახურეები ან/ დამუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიულ პირის თნამშრომლები.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მზადდება ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში – სამართალსუბიექტი) შეკვეთის საფუძველზე, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების მომარაგებას სამართალ სუბიექტი ახორციელებს დამოუკიდებლად.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ბოლოს, გვერდის უკანა კუთხეში დაიტანება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს, დამკვეთის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით, რეგისტრაციის ნომერი და სანებართვო მოწმობის ფორმის ინდივიდუალური ნომერი (არანაკლებ 6 ციფრი).

5. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დამცავი ნიშნები: ოქმის სახიან მხარეზე მთლიანი ზედაპირი დაფარულია დამცავი(გილოშერული) ბადით და ორნამენტის კონტურით, ოქმზე დატანილია საქართველოს დროშა უხილავი,მანათობელი ულტრაიისფერი საღებავით, 6 ნიშნა ნუმერაცია შესრულებულია წითელი მანათობელი საღებავით.

6. დამზადებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ბლანკების პოლიგრაფიული საწარმოდან გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია სამართალსუბიექტის მიერ გაცემული სათანადო მინდობილობა.''

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი